



სარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026 -2029 წლების
პრიორიტეტების დოკუმენტი

08.12. .2025 წელი (განახლებული)

შესავალი

მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 2025 წლის 02/10 მიღებული N04-03/69644 წერილი, 2026-2029 წლების ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებისა და მიკროეკონომიკური პროგნოზების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2026-2029 წლებისთვის, 2024 წლის ფაქტიური წლიური და მიმდინარე 2025 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში, რომელთა განხორციელებაც გათვალისწინებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.

დოკუმენტში ფინანსური რესურსების ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების პრევენციის (შემცირების) მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, როგორცაა ინკლუზიურობის პრინციპების გათვალისწინებით მოწესრიგებული და ადაპტირებულია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ხიდეები, ხიდბოგირები, სანიაღვრე არხები, ნაპირსამაგრები გზებსა და მდინარეებზე, საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული უწყვეტი გადაადგილების უზრუნველსაყოფად, რომელიც ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და მოსახლეობის შდარებით უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს უზრუნველყოფას.

ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ასპექტები;

პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 08 ივნისის №385 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტის მიერ დასახული პრიორიტეტების, ასევე არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვა (03 00)

განათლება (04 00)

კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და ტურიზმი (05 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება (01 00)

მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი სრულად იზიარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 2015 წლის 25 სექტემბერს მიღებული A/RES/70/1 რეზოლუციის - “ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის” სულისკვეთებას. დოკუმენტში დასახული საშუალოვადიანი პრიორიტეტების შესრულება ემსახურება „მდგრადი განვითარების მიზნების ხარაგაულის მუნიციპალური დოკუმენტი 2030“-ით დასახული მიზნების მიღწევას და განსაზღვრული ამოცანების განხორციელებას, რომელიც დამტკიცებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 08/01 № გ-69.69240084 განკარგულებით.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ



ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ იმერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით ბორჯომის, აღმოსავლეთით ხაშურის, ჩრდილოეთით კი ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტები.

მუნიციპალიტეტში 20 ადმინისტრაციული ერთეულია. მათ შორის არის 1 დაბა და დანარჩენი 19 ადმინისტრაციული ერთეული მოიცავს 78 სოფელს, რომელთაგან 11-ს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, კერძოდ, ეს სოფლებია: გოლათუბანი, გოლისი, გუდათუბანი, ნუნისი, პატარა სახვლარი, ფონა, წიფა, ბჟინევი, ზვარე, ჩრდილი, გედსამანია. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ხარაგაული.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ფართობის მიხედვით იმერეთის მუნიციპალიტეტებს შორის პირველი ადგილი უჭირავს და შეადგენს 913,9 კმ-ს, რაც ქვეყნის საერთო ტერიტორიის (69 700 კმ²) 1,3 %-ია, ხოლო იმერეთის რეგიონის ტერიტორიის 14 % . მთლიანი ტერიტორიის 180 კვ.კმ უჭირავს დაბლობს, ხოლო 733, 9 კვ.კმ. – მთიან ადგილებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შიდა სასოფლო საავტომობილო გზების საერთო სიგრძე შეადგენს 512 კილომეტრს. მუნიციპალიტეტის 78 სოფლიდან 72 სოფელში მოწყობილია ცემენტო-ბეტონის გზები. რეაბილიტორებული გზების მთლიანი სიგრძე ამჟამად გზების საერთო სიგრძის 67%-ია და ყოველწლიურად მუნიციპალიტეტი სხვადასხვა ფონდიდან ახდენს საშუალოდ 35-38 კმ გზის რეაბილიტირებას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი		
მუნიციპალიტეტის ცენტრი	დაბა ხარაგაული	
თემის რაოდენობა	20	
სოფლის რაოდენობა	78	
ფართობი	914 კმ ²	
პროცენტული წილი ქვეყნის ფართობთან	69 700 კმ ²	1.3%
პროცენტული წილი რეგიონის ფართობთან	6 516 კმ ²	14%
გზების სიგრძე	565	
მოსახლეობის რაოდენობა	16 500	
პროცენტული წილი ქვეყნის მოსახლეობაში	3 914 000	0.4%
პროცენტული წილი რეგიონის მოსახლეობაში	505 500	3.3%
მ.შ. დაბაში	1 600	9.6%
მ.შ. სოფელში	14 900	90.4%
მ.შ. ქალი	8 100	49.1%
მ.შ. კაცი	8 400	50.9%
მ.შ. 0-4 წლამდე ასაკის		
მ.შ. სკოლის ასაკის		
მ.შ. ასაკით პენსიონერი	4 899	
მ.შ. პენსიის სხვა მიმღები		
მ.შ. სოციალურად დაუცველი		
მოსახლეობის სიმჭიდროვე	18,1	
ბიუჯეტის მოცულობა 2025 წლის	38 910,2	

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 16,5 ათას ადამიანს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 0,4 % და რეგიონის მოსახლეობის 3,3%-ია. მოსახლეობის 50,9 % - მამაკაცია (8 400 კაცი) და შესაბამისად 49,1 % - ქალი (8 100 ქალი). ამასთან, ადგილობრივი მოსახლეობის 9,6 % (1 600 ადამიანი) ცხოვრობს დაბაში, ხოლო დანარჩენი 90,4% სოფლებში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიმდინარე 2025 წლის ბიუჯეტის მოცულობა ამ ეტაპზე განსაზღვრულია 38 910,2 ათ.ლარის ოდენობით. აქედან 62.4 % - 24 294,5 ათასი ლარი ფინანსდება მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებით, ხოლო 37,6 % -14 615.7 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებით.

საკუთარ შემოსავლებში აღსანიშნავია დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელზეც ყველაზე დიდი წილი, 56,4 % - 11 008,9 ათასი ლარი მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერებისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა დელეგირებული უფლებამოსილების და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ხდება ექვსი ძირითადი პრიორიტეტის დაფინანსება.

სხვა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, გადამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით. ამ დარგებიდან ნაკლებადაა განვითარებული არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესი და გადამამუშავებელი მრეწველობა. ეკონომიკის წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობაა, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ტურიზმს უკავია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების კუთხით გარკვეული პოტენციალი გააჩნია. პირველ რიგში აღსანიშნავია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელშიც 7 მუნიციპალიტეტია გაერთიანებული და მათ შორის ყველაზე დიდი ტერიტორია ხარაგაულს უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს შიდა და საერთაშორისო ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით, მარკეტინგული ინსტრუმენტების ნაკლებობისა და გაუმართავი ტურისტული ინფრასტრუქტურის გამო, ხარაგაულის მიმდინარე ეტაპზე არ განიხილება აქტიურ ტურისტულ ცენტრად.

სოფლის მეურნეობის დარგი წარმოდგენილია 21 მცირე საწარმოთი (დასაქმებულია 95) და 180 საოჯახო ფერმერით, მათ შორის 97 მეფუტკრით.

მუნიციპალიტეტში ნაკლებად არის განვითარებული მრეწველობა, რომელიც დღეისათვის შემოიფარგლება მხოლოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვებითა და რეალიზაციით. თუმცა მუნიციპალიტეტს გააჩნია კარგი პოტენციალი ჰიდრო, ქარის და არატრადიციული ენერგეტიკის განვითარების მხრივ. ასევე შესაძლებელია ჩვეულებრივი და სამკურნალო დანიშნულების ხილ-კენკროვანი ნაყოფის გადამამუშავება, ღვინის, სპირტის და კონიაკის წარმოების განახლება, ბუნებრივი და მინერალური წყლების ჩამოსხმა, ასევე, სამკურნალო ბალნეოლოგიური წყლების უფრო რაციონალურად გამოყენება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს:

25 საჯარო, ერთი კერძო სკოლა და 9 საჯარო სკოლებთან ადაპტირებული სკოლა. მათში საერთო ჯამში 2046 მოსწავლე სწავლობს და 534 მასწავლებელია დასაქმებული.

21 საბავშვო ბაღი და 6 სასკოლო მზაობის ჯგუფი, სადაც აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 470-ს.

ხარაგაულის კულტურის და ხელოვნების ცენტრი, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტში კულტურის განვითარებას, მის შემადგენლობაში აერთიანებს: საბიბლიოთეკო გაერთიანებას; ისტორიული მუზეუმს; სახალხო თეატრს; თოჯინების თეატრს; საბავშვო, სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლს „უბისი“, ფოლკლორული ჯგუფ „უბისი“-ს, ვაჟთა ვოკალურ ანსამბლს, ფოლკლორულ ანსამბლ „ოდია“-ს. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სპორტული, სამუსიკო, სალოტბარო სკოლები. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიზანია ჩამოყალიბდეს როგორც მიმზიდველი, საინტერესო, ცხოვრებისა და დასვენებისათვის ხელსაყრელი პატარა მუნიციპალიტეტი, შესაბამისი

ტრადიციებითა და თანამედროვე ინფრასტრუქტურით, განვითარებული ტურიზმით, აგროსექტორითა და მრეწველობის სხვადასხვა დარგებით, ეკონომიკური სტაბილურობით, განათლების, კულტურის, სპორტის, სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობით.

ეფექტურად გაგრძელება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა საგზაო ინფრასტრუქტურა, გარე განათების ქსელების, წყალმომარაგების სისტემის, დასასვენებელი ინფრასტრუქტურის და სხვათა მოწყობა, რათა მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე წარმატებულ მუნიციპალიტეტებს შორის.

პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად პროგრამების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ასპექტები და ხელი შეეწყობა თანასწორობის დამყარებას. რომელიც საბოლოოდ ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და აერთიანებს ადგილობრივ დონეზე სიღარიბის დაძლევისთვის კონკრეტულ ქმედ

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2026-2029 წლებისთვის

2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2026-2029 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები გაანგარიშებულია ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული პროგნოზის ფარგლებში.

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, კულტურისა და სპორტის სფეროს განვითარება.

2026-2029 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

(ათას ლარებში)

Ddasaxeleba	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
შემოსავლები	32 856,6	33 040,3	22 389,0	23 555,1	24 660,3	25 853,5
გადასახადები	15 909,1	17 208,9	19 718,0	20 884,1	21 979,3	23 167,5
გრანტები	13 918,8	13 241,4	216,0	216,0	216,0	216,0
სხვა შემოსავლები	3 028,6	2 590,0	2 455,0	2 455,0	2 465,0	2 470,0
ხარჯები	17 226,3	25 573,8	22 111,0	22 188,3	22 828,8	23 752,4
შრომის ანაზღაურება	3 011,5	3 649,8	4 050,0	4 260,0	4 601,0	5 050,0
საქონელი და მომსახურება	3 434,0	4 563,5	2 879,2	2 659,1	2 641,6	2 887,2
პროცენტი	10,0	5,5	6,0	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	7 805,4	10 756,1	11 660,1	12 062,4	12 340,4	12 545,4
გრანტები	41,9	153,8	249,6	254,0	276,0	289,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 879,0	3 436,8	2 432,5	2 144,0	2 151,0	2 152,0
სხვა ხარჯები	1 044,5	3 008,2	833,6	808,8	818,8	828,8
საოპერაციო საღდო	15 630,2	7 466,5	278,0	1 366,8	1 831,5	2 101,1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	12 621,9	13 205,4	2 126,0	2 269,0	2 435,0	2 610,0
ზრდა	12 652,3	13 285,4	2 136,0	2 279,0	2 450,0	2 625,0
კლება	30,4	80,0	10,0	10,0	15,0	15,0
მთლიანი საღდო	3 008,3	-5 738,9	-1 848,0	-902,2	-603,5	-508,9
ფინანსური აქტივების ცვლილება	2 957,4	-5 789,9	-1 900,0	-902,2	-603,5	-508,9
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	-2 957,4	5 789,9	1 900,0	902,2	603,5	508,9
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,000	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-50,9	-51,0	-52,0	0,0	0,0	0,0
კლება	50,9	51,0	52,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	50,9	51,0	52,0	0,0	0,0	0,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
შემოსულობები	32 886,9	33 128,7	22 485,4	23 565,1	24 675,3	25 868,5
შემოსავლები	32 856,6	33 048,7	22 475,4	23 555,1	24 660,3	25 853,5
არაფინანსური აქტივების კლება	30,4	80,0	10,0	10,0	15,0	15,0
გადასახდელები	29 948,6	38 918,6	24 704,0	24 827,3	25 568,8	26 532,4
ხარჯები	17 226,3	25 602,4	22 446,0	22 368,3	23 058,8	23 872,4
არაფინანსური აქტივების ზრდა	12 652,3	13 265,2	2 206,0	2 459,0	2 510,0	2 665,0
ვალდებულებების კლება	50,9	51,0	52,0	0,0	0,0	0,0
ნაშთის ცვლილება	2 957,4	-5 789,9	-2 218,6	-1 262,2	-893,5	-668,9

ბიუჯეტის შემოსულობები

(ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
შემოსულობები	32 856,6	33 048,7	22 475,4	23 555,1	24 660,3	25 853,5
გადასახადები	15 909,1	17 208,9	19 804,4	20 884,1	21 979,3	23 167,5
ქონების გადასახადი	6 334,7	6 200,0	8 000,0	8 000,0	8 000,0	8 000,0
დამატებული ღირებულების გადასახადი	9 574,5	11 008,9	11 804,4	12 840,4	13 931,9	15 116,1
გრანტები	13 918,8	13 249,8	216,0	216,0	216,0	216,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	198,4	211,0	216,0	216,0	216,0	216,0
სხვა შემოსავლები	3 028,6	2 590,0	2 455,0	2 455,0	2 465,0	2 470,0
შემოსავლები საკუთრებიდან	588,6	635,0	400,0	400,0	405,0	405,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	135,8	100,0	55,0	55,0	60,0	65,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	2 297,1	1 855,0	2 000,0	2 000,0	2 000,0	2 000,0
არაფინანსური აქტივების კლება	30,4	80,0	10,0	10,0	15,0	15,0

ბიუჯეტის გადასახდელები

(ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	29 948,6	38 918,6	24 704,0	24 827,3	25 568,8	26 532,4
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	4 756,1	6 041,403	6 783,2	6 820,7	7 344,2	7 965,8
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	4 694,7	5 962,871	6 510,2	6 565,7	7 088,200	7 708,800
01 01 01	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 083,3	1 393,8	1 482,6	1 359,4	1 355,6	1 357,6
01 01 02	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	3 597,9	4 556,071	5 007,6	5 190,3	5 715,6	6 333,2
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	13,6	13,0	20,0	16,0	17,0	18,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	61,4	78,532	273,0	255,0	256,0	257,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0,0	17,0	160,0	200,0	200,0	200,0
01 02 02	წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	0,0	0,0	50,0	50,0	50,0	50,0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	60,9	56,5	58,0	0,0	0,0	0,0
01 02 04	ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ხელშეწყობა	0,5	5,0	5,0	5,0	6,0	7,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13 669,3	14 190,905	3 070,0	3 210,0	3 142,0	3 260,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	11 006,4	11 339,549	1 490,0	1 495,0	1 467,0	1 545,0
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	10 158,2	10 062,737	750,0	800,0	822,0	900,0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	254,7	611,725	300,0	200,0	150,0	150,0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	209,1	44,7	60,0	45,0	45,0	45,0
02 01 04	ხიდების, ბოგიერების მშენებლობა, რეაბილიტაცია	268,4	420,387	180,0	200,0	200,0	200,0
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	116,0	200,0	200,0	250,0	250,0	250,0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	1 026,7	386,2	440,0	480,0	410,0	410,0
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	139,0	198,5	270,0	270,0	260,0	260,0
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	887,7	187,708	170,0	210,0	150,0	150,0
02 03	გარე განათება	381,5	532,1	540,0	500,0	530,0	550,0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	381,5	477,1	540,0	500,0	530,0	550,0
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	161,5	211,0	200,0	100,0	100,0	100,0
02 05	კეთილმოწყობა	66,5	502,9	150,0	320,0	320,0	320,0
02 05 02	სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	66,5	502,9	150,0	320,0	320,0	320,0
02 09	სოფლის მხარდაჭერი პროგრამა	1 026,7	1 219,061	250,0	315,0	315,0	335,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 992,1	2 885,150	2 964,5	2 979,0	3 039,0	3 109,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1 746,1	2 555,0	2 584,5	2 600,0	2 650,0	2 700,0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	237,3	320,9	363,0	370,0	380,0	400,0
03 03	მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა	8,7	9,3	17,0	9,0	9,0	9,0
04 00	განათლება	3 980,2	5 580,390	4 522,8	4 718,1	4 788,1	4 808,1
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2 493,0	3 579,4	3 991,1	4 168,1	4 208,1	4 208,1
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	61,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
04 03	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	1 069,0	1 106,760	0,0	0,0	0,0	0,0
04 04	სკოლების რეაბილიტაცია, აღჭურვა	0,0	414,955	8,0	10,0	10,0	10,0
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	129,1	180,9	195,2	200,0	220,0	230,0
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	228,0	298,4	328,5	340,0	350,0	360,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2 514,8	3 709,040	3 932,9	4 026,0	4 171,0	4 304,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	880,5	1 514,9	1 445,0	1 520,0	1 645,0	1 725,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	9,7	20,0	20,0	25,0	25,0	25,0
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	623,8	935,920	1 045,0	1 100,0	1 200,0	1 250,0
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	247,1	559,0	380,0	400,0	420,0	450,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 459,9	1 962,2	2 198,9	2 251,0	2 268,0	2 321,0

პროგრ. კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1 411,6	1 939,2	2 168,9	2 220,0	2 237,0	2 290,0
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	220,8	281,3	310,4	320,0	330,0	350,0
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	1 165,7	1 627,5	1 825,0	1 865,0	1 870,0	1 900,0
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	25,1	30,450	33,5	35,0	37,0	40,0
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	23,6	23,0	30,0	31,0	31,0	31,0
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	101,2	121,9	140,0	142,0	145,0	145,0
05 02 03	კულტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით აღჭურვა	24,8	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	68,0	80,0	100,0	80,0	80,0	80,0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	5,1	30,0	49,0	33,0	33,0	33,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3 036,2	6 511,704	3 430,6	3 073,5	3 084,5	3 085,5
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	264,3	301,5	328,3	328,3	328,3	328,3
06 03	სოციალური დაცვა	2 771,9	6 210,204	3 102,3	2 745,2	2 756,2	2 757,2
06 03 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება	656,6	931,614	600,0	700,0	700,0	700,0
06 03 03	მშმ პირთა დახმარება	87,2	109,6	107,0	107,0	107,0	107,0
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	556,0	1 337,5	1 100,0	600,0	600,0	600,0
06 03 05	ლექიკებით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	41,6	56,0	75,0	75,0	75,0	75,0
06 03 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	26,9	43,0	63,0	63,0	63,0	63,0
06 03 07	მარტოხელა მშობლების დახმარება	18,0	24,0	24,0	24,0	29,0	29,0
06 03 08	მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება	53,4	60,0	60,0	60,0	60,0	60,0
06 03 09	ყოველთიერი დახმარება	72,1	82,0	80,0	80,0	80,0	80,0
06 03 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	9,0	9,0	9,0	9,0	9,0	9,0
06 03 11	ხანდაზმულთა დახმარება	2,0	9,0	8,0	8,0	8,0	8,0
06 03 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	170,4	470,0	100,0	155,0	155,0	155,0
06 03 13	სოციალურად დაუცველი და მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	10,3	20,0	20,0	20,0	20,0	20,0
06 03 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარება	29,0	80,0	20,0	20,0	20,0	20,0
06 03 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	18,8	24,0	35,0	35,0	35,0	35,0
06 03 16	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	0,5	1,0	1,0	1,0	1,0	1,0
06 03 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა	626,2	2 411,705	250,0	250,2	250,2	250,2
06 03 18	უფასო სასაბილი	260,5	312,8	337,3	330,0	335,0	340,0
06 03 19	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა	35,0	31,0	50,0	50,0	50,0	50,0
06 03 20	გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა	26,8	80,0	50,0	50,0	50,0	50,0
06 03 21	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება	16,8	29,0	30,0	30,0	30,0	30,0
06 03 22	არასრულწლოვანთა მხარდაჭერა და პოზიტიური მშობლობის პროგრამა	54,9	89,0	78,0	73,0	74,0	75,0
06 03 23	პერსონალური ასისტენტის მომსახურება	0,0	0,0	5,0	5,0	5,0	5,0

2.2 გასული 2024 წლის წლიური და მიმდინარე 2025 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულება

2024 წლის წლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2023 წლის 21 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N29 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 13 433,4

ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა 14 928,5 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1 494,8 ათასი ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში გაიზარდა 16 533,9 ათასი ლარით და განისაზღვრა 29 967,6 ათასი ლარით. მ.შ. ზრდა განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერის ხარჯზე 13 697,9 ათასი ლარით და საკუთარი შემოსავლების ხარჯზე 2 836,6 ათასი ლარით, მ.შ. ქონების გადასახადისა და ჯარიმების ხარჯზე


ფაქტიურად, 2024 წელს ხარაგულის მუნიციპალიტეტმა მიიღო 32 886,9 ათასი ლარის შემოსულობები. შემოსულობების გეგმა შესრულებულია 109,7 %-ით. გეგმის ზევით მობილიზებულია 2 919,3 ათასი ლარი, ხოლო გასულ 2023 წელთან შედარებით მიღებულია 8 147,5 ათასი ლარით მეტი შემოსულობები.

გადასახადები დაგეგმილი 13 758,6 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 15 909,1 ათასი ლარი, წლის განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით მოხდა გადასახადების გეგმების გაზრდა (საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადის ხარჯზე) რის შედეგადაც, დამტკიცებული გეგმა 11 258,6 ათასი ლარი გაიზარდა 2 500,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 13 758,6 ათასი ლარით. გადასახადების 2024 წლის გეგმა შესრულებულია 115,6 %-ით და გეგმის ზევით მობილიზებული იქნა 2 150,5 ათასი ლარი, ხოლო წინა 2023 წელთან შედარებით 5 705,3 ათასი ლარით მეტი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში **სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი გრანტები** დაგეგმილი 13 967,3 ათასი ლარიდან მიიღო 13 918,8 ათასი ლარი, 99,7%, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობებიდან (ევროკავშირი; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) მიღებულია 84,5 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლება-მოვლილების განსახორციელებლად 198,4 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრასპორტირებისათვის 1069,0 ათასი ლარი. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებით მიღებულია 8620,0 ათასი ლარი, სოფლის მხარდამჭერი პროგრამით - 890,0 ათასი ლარი საქ. მთავრობის N 2401 განკარგულებით; მაღალმთიანი განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 907,8 ათასი ლარი საქ. მთავრობის N 550 განკარგულებით; სპეციალური ტრანსფერი სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 1599,2 ათასი ლარი საქ. მთავრობის N 2400 განკარგულებით. კაპიტალური გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში - 550,0 ათასი ლარი საქართველოს მთავრობის N 746 განკარგულებით.


სხვა შემოსავლები დაგეგმილი 2 041,7 ათასი ლარის ნაცვლად მუნიციპალიტეტმა მიიღო 3 028,6 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 148,3 %-ით, მიღებულია დაგეგმილზე 986,9 ათასი ლარით მეტი და წინა 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით 2 356,8 ათასი ლარით მეტი. ამასთან აღსანიშნავია რომ აღნიშნულ სახეში მთლიანი გეგმა გაიზარდა 245,0 ათასი ლარით, მათ შორის გაიზარდა ჯარიმების გეგმა 745,0 ათასი ლარით და შემცირდა დაგეგმილი ფინანსური დახმარების გეგმა 500,0 ათასი ლარით, რადგან აღარ გახდა საჭირო. ამასთან სხვა შემოსავლების ყველა სახეში გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდა და ბოლო წლების განმავლობაში **არაფინანსური აქტივების კლებიდან** დაგეგმილი 200,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია **30,4** ათასი ლარი, რადგან წინა წლების მსგავსად, ინვენტარიზაციის პროცესის მიმდინარეობის გამო პრივატიზაციის პროცესი კვლავ შეფერხებული იყო.

სტატისტიკურად მუნიციპალიტეტმა 2024 წელს ყველაზე დიდი ოდენობის შემოსავალი მიიღო.




ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 32 846,6 ათასი ლარით, ფაქტიურად დაფინანსდა 29 948,6 ათასი ლარით, 91,2 %-ით. პრიორიტეტების მიხედვით ყველაზე მეტი ხვედრითი წილი მოდის ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსებაზე.

დიაგრ. N 2



ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის მთავარ პრიორიტეტს ინფრასტრუქტურის განვითარება - პროგრამული კოდი 02 00 წარმოადგენს, 2024 წელს აღნიშნულ პრიორიტეტზე გათვალისწინებული იყო 15 596,8 ათასი ლარის დახარჯვა, ფაქტიურად დახარჯულია 13 669,3 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 87,6-ით და ყველაზე მეტი ხვედრითი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის დაფინანსებაზე

დიაგრამა 3



დასუფთავება და ნარჩენების გატანა - პროგრამული კოდი 03 01 მუნიციპალიტეტმა 2024 წელს დაგეგმილი 2 097,9 ათ. ლარიდან დახარჯა 1 992,1 ათასი ლარი და დაფინანსებულია 95,0 %-ით;

განათლებაზე პროგრამული კოდი - 04 00 2024 წელს მუნიციპალიტეტმა გათვალისწინებული 4 043,5 ათასი ლარიდან დახარჯა 3 980,2 ათასი ლარი, 98,4 %.

კულტურა, რელიგია, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებზე - პროგრამული კოდი 05 00

დაგეგმილი 2 848,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 2 514,8 ათასი ლარი, 88.3 %;

„მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფაზე - პროგრამული კოდი 06 00 “ მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით 2024 წელში მოქმედებდა 22 ქვეპროგრამა. მათ შორის ორი ქვეპროგრამა მოიცავს ჯანმრთელობის დაცვას, ხოლო 20 - სოციალურ უზრუნველყოფას. აღნიშნული პრიორიტეტი ყოველწლიურად იზრდება და 2024 წელს დაგეგმილი 3 256,8 ათასი ლარიდან 3 036,2 ათასი ლარი მოხმარდა. 93,2 % -ით იქნა ათვისებული.

2025 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა


2025 წლის ცხრა თვის შემოსულობები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა 2025 წლის ცხრა თვეში დაგეგმილი 25 355,9 ათასი ლარის შემოსულობების ნაცვლად მიიღო 26 631,4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 105 %-ით და გასული 2024 წლის ცხრა თვის შემოსულობებს აღემატება 2 143,5 ათასი ლარით (2024 წლის ცხრა თვეში მიღებული იყო 24 487,9 ათასი ლარის შემოსულობები) ხოლო 2023 წლის ცხრა თვის შემოსულობებს 11 641,2 ათასი ლარით. (2023 წლის ცხრა თვის ფაქტიური შემოსავლები შეადგენდა 14 990,2 ათას ლარს.

(ათას ლარებში)

დასახელება	2025 წლის ცხრა თვის გეგმა			2025 წლის ცხრა თვის შესრულება			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო უჯრეტი	საკუთარი მოსავლები		სახელმწიფო უჯრეტი	საკუთარი მოსავლები		სახელმწიფო უჯრეტი	საკუთარი მოსავლები
შემოსულობები	25 355,9	9 974,4	15 381,5	26 631,4	8 403,6	18 227,8	105,0	84,3	118,5
შემოსავლები	25 295,9	9 974,4	15 321,5	26 629,2	8 403,6	18 225,6	105,3	84,3	119,0
არაფინანსური აქტივების ეზბა	60,0	0,0	60,0	2,2	0,0	2,2	3,7		3,7
გადასადელოები	28 227,4	11 061,4	17 166,0	23 359,2	8 630,2	14 729,0	82,6	78,0	85,5
ხარჯები	17 356,7	1 644,4	15 712,3	15 209,9	1 305,1	13 904,7	87,6	79,4	88,5
არაფინანსური აქტივების ღდა	10 840,7	9 417,0	1 423,7	8 123,8	7 325,1	798,8	74,6	77,8	54,0
ვალდებულებების კლება	30,0	0,0	30,0	25,5	0,0	25,5	84,9		84,9
ნაშთის ცვლილება	-2 871,5	-1 087,0	-1 784,5	3 272,2	-226,5	3 498,8			

მუნიციპალიტეტის შემოსულობებში ყველაზე მეტი ხვედრითი წილი 59% გადასახადებზე მოდის, 32% პროცენტი უჭირავს გრანტებს და 9% მოდის სხვა შემოსავლებზე, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზაცია) მიღებული შემოსავალი ძალიან უმნიშვნელოა.



ა) საგადასახადო შემოსავლები

(ათას ლარებში)

დასახელება	2025 წლის ცხრა თვის გეგმა	2025 წლის ცხრა თვის შესრულება	პროცენტი
დამატებული ღირებულების გადასახადი	8 256,6	7 996,6	96,9
ქონების გადასახადი მ.შ	5 430,0	7 779,2	143,3
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4 930,0	7 974,0	161,7
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	500,0	-206,1	-41,2
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0,0	3,1	
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0,0	8,2	
გადასახადები სულ	13 686,6	15 775,9	115,3

N 3 ცხრილის მიხედვით ცხრა თვეში დაგეგმილი 13 686,6 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 15 775,9 ათასი ლარი, 115,0 %. მ. შ. ქონების გადასახადი დაგეგმილი 5 430,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 7 779,2 ლარი. აქედან საწარმოთა ქონების გადასახადი 7 974,0 ათასი ლარი, რომელიც სს საქართველოს რკინიგზის მიერ არის გადახდილი, ხოლო უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადი, რომლის გადამხდელიც არის შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი, გადანაგარიშების შემდეგ დაუბრუნდა წინა წლის გადახდილი თანხიდან 206,1 ათასი ლარი.

დამატებითი ღირებულების გადასახადის ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 96,9 % -ით და მუნიციპალიტეტმა დაგეგმილი 8 256,6 ათასი ლარიდან მიიღო 7 996,6 ათასი ლარი.

ბ) გრანტები

ცხრ. N 4 (ათას ლარებში)

დასახელება	2025 წლის ცხრა თვის გეგმა	2025 წლის ცხრა თვის შესრულება	პროცენტი
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	54,6	54,6	100,0
დედუქიერებული მიზნობრივი ტრანსფერი	158,2	158,2	100,0
დედუქიერებული მიზნობრივი ტრანსფერები ცენტრალური სსიპ-ებიდან (მოსწავლეთა ტრანსპორტირება)	832,3	741,2	89,1
დედუქიერებული მიზნობრივი ტრანსფერები სკოლების რეაბილიტაცია აღჭურვა	393,9	393,9	100,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	6 425,8	5 634,8	87,7
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	827,9	501,6	60,6
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	278,8	246,5	88,4
სპეციალური ტრანსფერი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ	1 057,4	727,3	68,8
გრანტები სულ	10 029,0	8 458,2	84,3

ცხრილის მიხედვით განვილილ ცხრა თვეში მიღებულმა გრანტებმა შეადგინა 8 458,2 ათასი ლარი. დაგეგმილის 84,3 %;

გ) სხვა შემოსავლები

(ათას ლარებში)

დასახელება	2025 წლის ცხრა თვის გეგმა	2025 წლის ცხრა თვის შესრულება	პროცენტი
შემოსავლები საკუთრებიდან	200,0	561,0	280,5
პროცენტები	112,5	443,9	394,6
რენტა	87,5	117,0	133,8
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	50,0	69,6	139,2
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა)	37,5	47,4	126,5
ადაცემიდან			
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	75,3	54,8	72,8
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	75,3	54,8	72,8
სანებართვო მოსაკრებელი	4,0	4,1	102,8
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	71,3	50,7	71,2
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 305,0	1 772,2	135,8
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (წინა წელს გადარიცხული და მიმდინარე წელს უკან დაბრუნებული სახსრები)	0,0	7,1	
სხვა შემოსავლები სულ	1 580,3	2 395,1	151,6

დ) არაფინანსური აქტივების კლება

(ათას ლარებში)

დასახელება	2025 წლის ცხრა თვის გეგმა	2025 წლის ცხრა თვის შესრულება	პროცენტი
ძირითადი აქტივები	40,0	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	20,0	2,2	11,0
მიწა	20,0	2,2	11,0
არაფინანსური აქტივების კლება	60,0	2,2	3,7

ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა მთლიანი ნაშთი (ცხრ. N 11) შეადგენდა 5 904,1 ათასი ლარი, (მ.შ. სახ. ფონდით 1 539,7 ათ. ლარი; საკ. სახსრებით 4 364,4 ათ. ლარი). აქედან მიმდინარე წლის ხარჯებში უკვე გადანაწილდა 5 789,9 ათასი ლარი (ცხრ. N 12.) სახ. ფონდიდან 1 428,9 და საკ. სახსრებში 4 361,0 ათ. ლარი.

(ათას ლარებში)

დასახელება	2025 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი			2025 წლის ცხრა თვის გეგმა			2025 წლის ცხრა თვის შესრულება		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-5 789,9	-1 428,9	-4 361,0	-2 871,1	-1 087,0	-1 754,5	3 272,2	-226,5	3 498,8
კლება	5 789,9	1 428,9	4 361,0	2 871,5	1 087,0	1 754,5	-3 272,2	226,5	-3 498,8
VII. ვალდებულებების ცვლილება	-52,0	0,0	-52,0	-30,0	0,0	-30,0	-25,5	0,0	-25,5
კლება	52,0	0,0	52,0	30,0	0,0	30,0	25,5	0,0	25,5
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ნაშთი 2025 წლის ირგვლი იანვრის მდგომარეობით	0,0			0,0			5 904,1	1 539,7	4 364,4
ნაშთი 2025 წლის ირგვლი ოქტომბრის მდგომარეობით	0,0			0,0			9 176,4	1 313,2	7 863,2

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება 2025 წლის ცხრა თვეში


ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ცხრა თვეში ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 23 359,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (28 227,4 ათასი ლარი) 82,8 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 3 135,3 ათასი ლარით, ხოლო 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 7 279,0 ათასი ლარით. 2024 წლის ცხრა თვეში ფაქტიურად გაწეული იქნა 20 223,9 ათასი ლარის ხარჯი და 2023 წლის ცხრა თვეში კი 16 080,2 ათასი ლარის ხარჯი.

პრიორიტეტების მიხედვით ფაქტიური დაფინანსების სტრუქტურა 2025 წლის ცხრა თვის შედეგების მიხედვით

ცხრ. N 14 (ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2025 წლის ცხრა თვის გეგმა			2025 წლის ცხრა თვის შესრულება			გეგმის შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები	
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	4 500,8	0,0	4 500,8	3 857,0	0,0	3 857,0	85,7
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	11 637,0	9 676,9	2 015,1	9 161,5	7 694,4	1 467,1	78,7
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 037,9	0,0	2 037,9	1 761,1	0,0	1 761,1	86,4
04 00	განათლება	4 323,9	1 226,3	3 097,6	3 679,9	778,3	2 901,6	85,1
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2 787,1	0,0	2 787,1	2 214,4	0,0	2 214,4	79,5
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 940,7	158,3	2 782,4	2 685,3	157,5	2 527,8	91,3

დიაგრამა N 3



2025 წლის ცხრა თვის ხარჯებში ყველაზე მეტი ხვედრითი წილი 39,0 % ინფრასტრუქტურის პრიორიტეტის დაფინანსებაზე მოდის და შეადგენს 9 161, 5 ათას ლარს. (დიაგრ. N 3 ცხრ. N 14).

1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

პროგრ. კოდი	დასახელება	2025 წლის ცხრა თვის გეგმა	2025 წლის ცხრა თვის შესრულება	%
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	4 500,8	3 857,0	85,7
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	4 421,8	3 828,3	86,6
01 01 01	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	943,3	862,4	91,4
01 01 02	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	3 458,0	2 958,4	85,6
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	20,5	7,5	36,4
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	79,0	28,7	36,4
01 02 01	სარეზერვო ფონდი	17,5	0,0	0,0
01 02 02	წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	14,5	0,0	0,0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	43,0	28,7	66,8
01 02 04	ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ხელშეწყობა	4,0	0,0	0,0

საანგარიშო პერიოდში მმართველობა და საერთო დანიშნულების ფაქტიურმა ხარჯებმა 3 857,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (4 500,8 ათასი ლარი) 85,7 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა 862,4 ათასი ლარი; მუნიციპალიტეტის მერია 2 958,4 ათასი ლარი; კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი 7,5 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით განაწილებულია 153 509 ათასი ლარი სოციალური დაცვის ოთხ საბიუჯეტო პროგრამაზე. ცხრილი N 15

ცხრ. N 15 (ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გამოყოფილი თანხა
06 03 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება	45124
06 03 03	შშმ პირთა დახმარება	4595
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	37490
06 03 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა	66300
	სულ	153509

საანგარიშო პერიოდში სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ფონდის პროგრამიდან გამოიყო წინა 2019 წლის ვალდებულებების 85 468 ლარი და გადატანილი იქნა გზების კაპიტალური მშენებლობის ხარჯებში.

ვალდებულებების მომსახურებაზე გაწეულია 28,7 ათასი ლარის ხარჯი.მ.შ. 25,5 ათასი ლარი სესხის დასაფარად და 3,3 ათასი ლარი პროცენტის სახით.

2. ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების, ხიდების, ხიდბოგიერების და მილხიდების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა; საგზაო ნიშნებისა და უსაფრთხოების მომსახურების დაფინანსება; მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება; წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 9161,5 ათასი ლარით, დაგეგმილი 11 637,0 ათასი ლარიდან და შეადგინა 78,7 პროცენტი. გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტზე 570,2 ათასი ლარით მეტია დახარჯული. 2024 წლის ცხრა თვეში ინფრასტრუქტურაზე გაწეული იყო 8 591,3 ათასი ლარის ხარჯი;

გაწეული ხარჯები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ცხრ. N 16 (ათას ლარებში)

პრ.კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2025 წლის ცხრა თვის გეგმა	2025 წლის ცხრა თვის შესრულება	%
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	11 637,0	9 161,5	78,7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	9 404,4	7 550,7	80,3
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	8 586,1	6 967,2	81,1
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	407,1	296,5	72,8
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	34,9	28,6	81,9
02 01 04	ხიდების, ბოგიერების მშენებლობა, რეაბილიტაცია	265,2	162,5	61,3
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	111,2	96,0	86,4
02 02	წყლის სისტემის განვითარება	211,3	101,0	47,8
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	88,7	80,3	90,5
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	122,6	20,7	16,9
02 03	გარე განათება	368,3	302,2	71,4
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	368,3	302,2	82,1
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	211,0	183,2	86,8
02 05	კეთილმოწყობა	299,4	202,9	67,8
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	299,4	202,9	67,8
02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	1 142,6	821,5	71,9

1. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება ხუთი ქვეპროგრამა და განვილი ცხრა თვეში დაგეგმილი 9 404,4 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 7 550,7 ათასი ლარის სამუშაოები, 80,3 %. მათ შორის:

- გზების კაპიტალური შეკეთებაზე ცხრა თვეში დაგეგმილი 8 586,1 ათასი ლარიდან დაიხარჯა 6 967,2 ათასი ლარი, აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მთავრობის სხვადასხვა განკარგულებებით გამოყოფილი სახსრებიდან დაფინანსდა 6 666,0 ათასი ლარი, კერძოდ,

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31/12 N 1955 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა 5 208,7 ათასი ლარის გზების რეაბილიტაციის სამუშაოები. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30.01. N 186 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გახარჯულია 623,3 ათასი ლარი;

საქართველოს მთავრობის N 517 განკარგულებით (21.03 2025 წ) მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდიდან სოფელ წიფაში საუბნო გზის რებილიტაციაზე დაფინანსებულია 234,2 ათასი ლარის სამუშაოები.

წინა წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების ნაშთებიდან ათვისებულია 599,8 ათასი ლარი.

ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით ცხრა თვეში გაწეულია 301,2 ათასი ლარის ხარჯი.

- გზების მიმდინარე შეკეთებაზე დაგეგმილი 407,1 ათასი ლარიდან ათვისებულია 296,5 ათასი ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 69,6 ათასი ლარი და საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით 226,9 ათასი ლარი.

- საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება პროგრამის მომსახურებაზე მუნიციპალიტეტის მიერ ცხრა თვეში გაწეულია 28,6 ათასი ლარი;

- ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია დაფინანსებულია 162,5 ათასი ლარით, მ. შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით 141,8 ათასი ლარით და საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით 20,7 ათასი ლარით.

- მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფაზე გაწეულია 96,0 ათასი ლარი.

2. წყლის სისტემის განვითარების პროგრამაზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში გეგმით

გათვალისწინებული 211,3 ათასი ლარიდან ათვისებულია 101,0 ათასი ლარი, 72,5%, აქედან 28,5 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით და 72,5 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით. პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას, აქედან სასმელი წყლით უზრუნველყოფას მოხმარდა 80,3 ათასი ლარი და სანიაღვრე არხების, მდინარეებზე ნაპირსამაგრების და საკანალიზაციო სისტემის მოწყობაზე 20,7 ათასი ლარი.

3. გარე განათების პროგრამაზე დაგეგმილი 368,3 ათასი ლარიდან ათვისებულია 302,2 ათასი ლარი; 82,1%; პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას, გარე განათების ქსელის ექსპლუატაციას და გარე განათების ახალი წერტილების მოწყობას. გაწეული ხარჯი მთლიანად მოდის ქსელის ექსპლუატაცია მოვლა შენახვაზეა გაწეული.

4. მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქცია დაგეგმილი 211,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 183, ათასი ლარი, მათ შორის 39,9 ათასი ლარი და 143,3 ათასი ლარი.

5. კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 299,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 202,9 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 141,2 ათასი ლარი და საკუთარი საბიუჯეტო სახსრებიდან 61,7 ათასი ლარი;

6. სოფლის მხარდაჭერი პროგრამით დაგეგმილი 1 142,6 ათასი ლარიდან დაიხარჯა 821,5 ათასი ლარი;

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1 761,1 ათასი ლარით, რაც გეგმის 2 037,9 ათასი ლარის 86,4 პროცენტია. 2024 წლის ცხრა თვესთან შედარებით დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტზე 330,3 ათასი ლარით მეტია დახარჯული. (2024 წლის ცხრა თვეში აღნიშნულ პრიორიტეტს 1 430,8 ათასი ლარი მოხმარდა). გამოყოფილი სახსრებიდან 1 527,8 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, 231,6 ათასი ლარი სკვერების და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას და 1,7 ათასი ლარით დაფინანსდა მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა.

ცხრ. N 18 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	დასახელება	ცხრა თვის გეგმა	ცხრა თვის შესრულება	გეგმის შესრულების %
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 037,9	1 761,1	86,4
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1 785,3	1 527,8	85,6
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	243,6	231,6	95,1

03 03	მოუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა	9,0	1,7	18,9
-------	--------------------------------------	-----	-----	------

პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება დაბასა და მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებული სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, ასევე დაბიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან მყარი ნარჩენების შეგროვება -გატანა . გარდა აღნიშნულისა, დებულების თანხამად ხორციელდება ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიებზე სტიქიისაგან დაზიანებული გზების შეკეთება, დამეწყრილი გზების გაწმენდა, სანიაღვრე არხების მოწყობა, გაწმენდა და საკანალიზაციო მილების შეცვლა.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2025 წლის ცხრა თვის განმავლობაში დაფინანსდა 3 679,9 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის 4 323,9 ათასი ლარის - 85,1 პროცენტია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით განათლების პრიორიტეტის დაფინანსება გაზრდილია 923,7 ათასი ლარით. (2024 წელს ცხრა თვეში განათლების ხარჯი შეადგენდა 2 756,2 ათას ლარს)

აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებაზე დაიხარჯა 2 546,5 ათასი ლარი; საჯარო სკოლების დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 741,2 ათასი ლარი; სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 37,0 ათასი ლარი; ბორის სკოლა პანსიონი დაფინანსდა 134,3 ათასი ლარით და ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი 220,9 ათასი ლარით.

ცხრ. N 19 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	დასახელება	ცხრა თვის გეგმა	ცხრა თვის შესრულება	გეგმის შესრულების %
04 00	განათლება	4 323,9	3 679,9	85,1
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2 726,3	2 546,5	93,4
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	5,0	0,0	0,0
04 03	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	832,3	741,2	89,1
04 04	სკოლების რეაბილიტაცია	394,0	37,0	9,4
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	138,9	134,3	96,7
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	227,4	220,9	97,1

5) კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

